საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1945
21/03/2023

1945-21-2-202303211412

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს**

**ასლი:** *სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს*

თქვენი 2023 წლის 3 თებერვლის №2-08/1471 (სააგენტოში რეგისტრაციით №782) წერილის პასუხად, რომელიც ეხება "საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა-არგვეთას მონაკვეთის (F4) (ზესტაფონის მუნიციპალიტეტში) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №2-181 ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 აგვისტოს №21/4624 წერილის თანახმად განახლებული, 290 000 $m^3$ ფუჭი ქანების №1 სანაყაროს მოწყობის პროექტის წარმოდგენას, გაცნობებთ, შემდეგს:

გრაფიკულ ნაწილში მოცემული დამცავი ქვანაყარი ბერმის საპროექტო მოცულობა (1 გრძ. მეტრში), ვერ უზრუნველყოფს საანგარიშო წყალდიდობის დროს ტერიტორიის დაცვას გვერდითი ეროზიისაგან. ასე, მაგალითად, პკ 0+00-დან - პკ 1+15-მდე ქვანაყარი ბერმის მოცულობა ერთ გრძივ მეტრში იცვლება 34,6 კუბ.მეტრიდან 37,1 კუბ.მეტრამდე, პკ 1+15-დან - პკ 2+33- მდე 37,1 კუბ.მეტრიდან 33,75 კუბ.მეტრამდე, ხოლო პკ 2+33-დან - პკ 4+30-მდე ნაგებობის მოცულობა 33,75 $m^3$/გრძ.მ. მაშინ როდესაც, პროექტში მოცემული ჰიდროლოგიურ ანგარიშზე დაყრდნობით, დამცავი ნაგებობის საანგარიშო მოცულობა, წარეცხვაზე შესაბამისი მარაგის გათვალისწინებით, უნდა იყოს 41,7 $m^3$/გრძ.მ. ასევე სამშენებლო მოცულობების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ნაგებობის ფორიანობა.

ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის თანახმად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა

სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

გთხოვთ, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, №1 ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობამდე, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოთ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სკრინინგის განცხადება.

**დანართის ელ. ვერსია გაეგზავნოს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.**

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო